„გამკლავების მოქნილობის გავლენა ბავშვობის პოტენციურად მატრავმირებელ გამოცდილებებსა და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებას შორის კავშირზე“

სალომე შამანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობა - ფსიქოლტავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯავახიშვილი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025 წელი

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე შამანაძე, გვარი, 2025 წელი.

აბსტრაქტი

კვლევა მიზნად ისახავს ბავშვობის მძიმე გამოცდილებების (Adverse Childhood Experiences – ACE) გავლენის შეფასებას ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების რისკზე (ASIST) და ამ ურთიერთობაში ტრავმასთან გამკლავების აღქმული უნარის (Perceived Ability to Cope with Trauma – PACT) როლის ანალიზს. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ კონტექსტში, სადაც ბავშვობის განმავლობაში დაგროვებული ტრავმული გამოცდილებები შეიძლება იქცეს ფსიქოსოციალური და ჯანმრთელობის საზიანო ქცევების რისკების წყაროდ მოზრდილობაში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კვლევები ადასტურებენ ACE-ის როლს სხვადასხვა საზიანო ქცევის განვითარებაში, საქართველოს კონტექსტში ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი ACE-სა და ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური მექანიზმები, რაც კვლევის საჭიროებას ასაბუთებს.

კვლევა ეყრდნობა რაოდენობრივ, ჯვარედინ-სექციურ კვლევის მეთოდს, კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 68 წლამდე ადამანებმა, გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად და მონაწილეთა შეჩევა მოხდა სოციალური ქსელების გამოყენბით.

მონაცემთა ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სტანდარტიზებული ინსტრუმენტები – ACE კითხვარი, PACT და ASIST, ხოლო ანალიტიკური სტრატეგია მოიცავდა Pearson-ის კორელაციას, მრავლობით რეგრესიას და მოდერაციულ ანალიზს.

კვლევის ძირითადი მიგნებები აჩვენებს, რომ ACE ქულა მნიშვნელოვნად პროგნოზირებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების რისკს ($\beta = .295$; $p < .001$), მაშინ როცა გამკლავების მოქნილობამ დამოუკიდებლად ვერ ახსნა ASIST ქულაში ცვლილება და ასევე ვერ იქნა დადასტურებული მისი მოდერაციული ეფექტი ACE-სა და მოხმარების რისკს შორის. მიღებული შედეგები მიანიშნებს, რომ პრევენციული მიდგომების დაგეგმვისას კრიტიკულად მნიშვნელოვანია ბავშვობის ტრავმული გამოცდილებების გათვალისწინება, როგორც ნივთიერებების მომხმარებელი ისე სხვა ნებისმიერი სარისკო ქცევის მქონე ადამიანებისათვის.

ძირითადი საძებო სიტყვები - ბავშვობის მძმე გამოცდილებები,ნარკოტიკის მოხმარება, საზიანო მოხმარება, მედეგობა, გამკლავების მოქნილობა.

Abstract

The study aims to assess the impact of Adverse Childhood Experiences (ACE) on the risk of psychoactive substance use (ASIST) and to analyze the role of perceived ability to cope with trauma (PACT) in this relationship. The issue is particularly relevant in contexts where accumulated traumatic experiences during childhood may serve as a source of risk for harmful psychosocial and health-related behaviors in adulthood. Although international studies confirm the role of ACE in the development of various harmful behaviors, in the Georgian context, the psychological mechanisms related to ACE and substance use remain underexplored, which substantiates the need for this research.

The study is based on a quantitative, cross-sectional research design. Participants ranged in age from 18 to 68 years, and data were collected electronically. Recruitment was conducted via social media platforms.

For data analysis, standardized instruments were used – the ACE questionnaire, PACT, and ASIST – and the analytical strategy included Pearson's correlation, multiple regression, and moderation analysis.

The main findings of the study show that the ACE score significantly predicts the risk of psychoactive substance use ($\beta = .295$; $p < .001$), whereas coping flexibility did not independently explain variation in the ASIST score, nor was its moderating effect between ACE and substance use risk confirmed. These findings indicate that in planning preventive approaches, it is critically important to consider childhood traumatic experiences – both for individuals who use substances and for those engaged in other high-risk behaviors.

Keywords - Adverse Childhood Experience, ACE, Drug use, Drug abuse, Resilience, Coping flexibility.